

**ზოგადი წინადადება სოციალური პაკეტით სარგებლობისას დისკრიმინაციის თავიდან
აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹
მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი განცხადება მიიღო სოციალური დახმარების სისტემის სავარაუდო დისკრიმინაციულობასთან დაკავშირებით. კერძოდ, განცხადებები მიემართებოდა საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებას „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“. განმცხადებლები მიუთითებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის, ასევე მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე. საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა არათანასწორი მიდგომის ფაქტები, რაც მიანიშნებდა, რომ სოციალური დახმარების სქემაში პრობლემა სისტემურია.

აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ, საქართველოს სახალხო დამცველი ზოგად რეკომენდაციას გამოსცემს საქართველოს მთავრობის მიმართ შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე: საქართველოს მთავრობას აქვს მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ბერკეტები საბიუჯეტო სახსრების განკარგვის კუთხით; საქართველოს მთავრობას შეუძლია დაეგმოს და დაასაბუთოს სოციალური დახმარების სისტემაში თანასწორობის პრინციპთან შესაბამისი ცვლილებები, ხოლო განხორციელების ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო ინიციატივით მიმართვის უფლებამოსილება.

1. ფაქტობრივი გარემოებები

როგორც აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველს „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილების (შემდგომში „საქართველოს მთავრობის 279-ე დადგენილება“) ნორმების სავარაუდო დისკრიმინაციულობის თაობაზე სხვადასხვა განცხადება აქვს მიღებული. საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა არათანასწორი მიდგომის ფაქტები.

1.1. განმცხადებლების პოზიცია

1.1.1. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია - საქმე N8255/20

საქართველოს სახალხო დამცველს 2020 წლის 4 ივლისს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით მომართა გ. ა.-მ (საქმე N8255/20). განმცხადებელი მიუთითებდა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე, რომელშიც მოცემულია სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები.¹ დადგენილება, მათ შორის, მოიცავს სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრეს, ოდენობებს, დაფინანსების წყაროსა და შეზღუდვებს.² ამ წესების შესაბამისად, აკრძალულია ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება, ასევე დაუშვებელია სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება.³ ამავე სამართლებრივი აქტით დადგენილია გამონაკლისები, როდესაც ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს⁴, თუმცა ეს არ ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

ხსენებული რეგულაციის მიხედვით, დაუშვებელია ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და, მეორე მხრივ, ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღება. განმცხადებლის ხედვით, განსახილველი რეგულაცია დისკრიმინაციულია საპენსიო ასაკს მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ. მან უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი მათგანით ისარგებლებს. განმცხადებლის ხედვით, მსგავსი მიდგომა არის არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანაბარი მოპყრობის მაგალითი.

სახალხო დამცველმა მოცემულ საქმეში დაადგინა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია. სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას 2020 წლის 28 დეკემბერს მიმართა რეკომენდაციით (N13-2/12811), რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საპენსიო ასაკს მიღწევა ყველა შემთხვევაში არ გამორიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღების შესაძლებლობას. სოციალური უზრუნველყოფის არსებული წესი იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ სახელმწიფოსგან ამ ორი ფინანსური სარგებლის ერთდროულად მიღების საკითხი შესაბამისი პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით წყდებოდეს.

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ (2012 წლის 23 ივლისი)

² საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, თავი II (2012 წლის 23 ივლისი)

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტები (2012 წლის 23 ივლისი)

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი)

1.1.2. მოქალაქეობის და ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია - საქმე N2083/21

საქართველოს სახალხო დამცველს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით 2021 წლის 24 თებერვალს მომართა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა გ. ბ. - მ (საქმე N2083/21). განმცხადებლის განმარტებით, იგი ცხოვრობს საქართველოში, იღებს რუსეთის ფედერაციისგან ასაკის გამო პენსიას და ამ ფაქტიდან გამომდინარე, მას საქართველოში უარი უთხრეს ომის ვეტერანების დახმარების დანიშვნაზე. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მსგავსი მიდგომა დისკრიმინაციულია.

1.2. საქართველოს მთავრობის პოზიცია

მოსაზრებების დაფიქსირების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადებები გადაუგზავნა საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“), ასევე მათთან დაზუსტდა ინფორმაცია, ხომ არ აპირებდა მთავრობა ნორმატიულ დონეზე ცვლილებებს.

1.2.1. N8255/20 და N2083/21 საქმეებზე დაფიქსირებული ერთგვაროვანი პოზიციები

საჯარო უწყებების მიერ აღნიშნულ საქმეებთან დაფიქსირებული პოზიციები, ძირითადად, ერთსა და იმავე არგუმენტაციას ეყრდნობოდა. კერძოდ, სამინისტროს ხედვით, მოწესრიგებები არ არის დისკრიმინაციული შემდეგი არგუმენტების გამო: საბიუჯეტო სახსრების ამოწურვადობა, მათი განაწილების საკითხში სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარი; ასევე სამართლებრივ ბაზაში ერთიანი მიდგომის აუცილებლობა, მანამდე მოქმედი პრინციპების ანალოგიური ნორმებს განსაზღვრა.⁵

უფრო ვრცლად საჯარო უწყებების პოზიცია შემდეგია: სამინისტრო საქართველოს სახალხო დამცველისთვის გამოგზავნილ წერილში საუბრობს სოციალური პაკეტის ზოგადი პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, სამინისტრო აღნიშნავს: 2012 წელს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძვლად განისაზღვრა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევა (ქალებისათვის - 60 წელი, მამაკაცებისათვის - 65 წელი). საქართველოს მთავრობას და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, საქართველოს მთავრობას დაევალა საპენსიო ასაკის პირების გარდა, სხვა პირების სოციალური პაკეტით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების

⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს № 01/9181 წერილი (05 აგვისტო, 2020)

გატარება და 2012 წლის 1 სექტემბრიდან „სოციალურ პაკეტში“ შემავალი ფულადი გასაცემლების დაფინანსება.⁶ ამასთან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის თანახმად, სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცდა „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები“, განისაზღვრა სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრე და ოდენობები, თუმცა, სამართლებრივ ბაზაში ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად გასაცემლის მიღების პირობები და ადმინისტრირების საკითხები სახელმწიფო პენსიასთან და სოციალურ პაკეტთან მიმართებაში დარჩა ერთი და იგივე.⁷

სოციალური გასაცემლების ადმინისტრირების საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო უთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას⁸, რომ „ამოწურვადი რესურსების დაზოგვა, ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. ყურადსაღებია, რომ სახელმწიფოს გააჩნია საკმაოდ ფართო მიხედულების ზღვარი, მაშინ, როდესაც საქმე უკავშირდება შეზღუდვად რესურსებს და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამოწურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს.“⁹

1.2.2. N8255/20 და N2083/21 საქმეებზე დაფიქსირებული ინდივიდუალური პოზიციები
N8255/20 საქმესთან მიმართებით, სამინისტრო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საპენსიო უზრუნველყოფისათვის (პენსია, კომპენსაცია, სოციალური პაკეტი) გათვალისწინებულია 2.6 მლრდ. ლარზე მეტი.

⁶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს № 01/9181 წერილი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის № 01/4562 წერილი

⁷ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს № 01/9181 წერილი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის № 01/4562 წერილი

⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს № 01/9181 წერილი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის № 01/4562 წერილი

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

შესაბამისად, ორი საფუძვლით პენსიის და სოციალური პაკეტის ან პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის მიღება გამოიწვევს საბიუჯეტო ასიგნებების მნიშვნელოვან ზრდას.¹⁰

N2083/21 საქმესთან დაკავშირებით, სამინისტროსგან მიღებულ წერილში აღნიშნულია: იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებელი ამავედროულად არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ ჰქონდა გ. ბ.- სთვის სოციალური პაკეტის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი.¹¹ კერძოდ, „საქართველოს მთავრობის 279-ე დადგენილების“ მე-7 მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა სოციალური პაკეტის დასანიშნად უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატს ასევე მოაწოდა ინფორმაცია სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმ ნორმების ცვლილება, რომლებიც განმცხადებლებს მიემართება, არ იგეგმება.¹²

2. სამართლებრივი დასაბუთება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრულია თანასწორობის უფლება. უფრო კონკრეტულად: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.¹³

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ

¹⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს № 01/9181 წერილი (05 აგვისტო, 2020)

¹¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 22 მარტის № 01/4041 წერილი

¹² საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 22 მარტის № 01/4041 წერილი

¹³ საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი

პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამგვარად, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას: (ა) არსებობს განსხვავებული მოპყრობა არსებითად ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია; ან (ბ) არსებობს თანაბარი მოპყრობა არსებითად არათანაზორ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, თანაბარ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „თანასწორობის უფლების შეზღუდვას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა (ან არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა)“.¹⁴ ამდენად, უნდა დადგინდეს შესაბამისი კანონმდებლობა იწვევს თუ არა არსებითად თანასწორი პირების აშკარა და გაუმართლებელ დიფერენცირებას.

ანალოგიური მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. კერძოდ, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე. ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.¹⁵

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II. პ. 10;

¹⁵ *Eweida and others v. United Kingdom*, App. Nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, § 87-88 (15/01/2013, ECtHR); *Burden v. United Kingdom*, App. No. 13378/05, § 60 (29/04/2008, ECtHR).

2.2. სოციალური პაკეტის დანიშვნის სისტემის მიმოხილვა და შესაფასებელი საკითხის იდენტიფიცირება

საკითხის განხილვისთვის არსებითია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შინაარსს განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერი სახის, ფულად ან არაფულადი ხასიათის სარგებელს, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ლატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.¹⁶ მისი მიზანია შესაბამისი პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.¹⁷

სოციალური დახმარების სახეებია: საარსებო შემწეობა; რეინტეგრაციის შემწეობა; მინდობით აღზრდის ანაზღაურება; სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება; არაფულადი სოციალური დახმარება; სოციალური პაკეტი.¹⁸ სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

„სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებულია „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები“. უფრო კონკრეტულად, განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის მოცულობას, მიმღებ პირთა წრეს, დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს.¹⁹

საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებაში ჩამოთვლილია სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა ფართო წრე,²⁰ რომელთა შორისაა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებული პირები. მაგალითად, საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებული სოციალური პაკეტის მიმღები პირი შესაძლებელია იყოს²¹:

- სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები
 - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად

¹⁶ საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი

¹⁷ საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი

¹⁸ საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მე-6 მუხლი

¹⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, პირველი მუხლი (2012 წლის 23 ივლისი)

²⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-5 მუხლი (2012 წლის 23 ივლისი)

²¹ აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირებთან მიმართებით

და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (44 ლარი)²²;

- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები (22 ლარი);
- თავდაცვის ძალების ვეტერანები საპენსიო ასაკის მიღწევისას (22 ლარი).²³
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეები (22 ლარი).²⁴

საქართველოს მთავრობის №279 დადგენილება პაკეტის მიღებაზე შეზღუდვებსაც აწესებს. კერძოდ, საქართველოს მთავრობის №279 დადგენილება სოციალური პაკეტის მიღებაზე უარის თქმის ზოგად პრინციპს ასახელებს - პირმა არ უნდა მიიღოს ერთზე მეტი გასაცემელი სახელმწიფოსგან. უფრო კონკრეტულად, დაუშვებელია:

- ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება;
- სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება - ეს წესი არ ვრცელდება, მათ შორის, საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების გარკვეული კატეგორიის მონაწილეების მიმართ;²⁵
- სოციალურ პაკეტთან ერთად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული²⁶ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღება.

აღნიშნული წესებიდან გამომდინარე, ხანდაზმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ მოქმედებს ორი ან მეტი სოციალური გასაცემლის ერთდროულად მიღების შეზღუდა.

რაც შეეხება ორმაგი მოქალაქეობის მქონე²⁷ ომის ვეტერანების მიმართ მოქმედ შეზღუდვას: ზემოაღნიშნული წესებით შექმნილი სისტემის ფარგლებში, სოციალური პაკეტის

²² ამ ჩამონათვალში მითითებული თანხები არის კანონმდებლობით დადგენილი სოციალური პაკეტის ოდენობები

²³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ზ.დ, ზ.ვ), ზ.თ) ქვეპუნქტები (2012 წლის 23 ივლისი)

²⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტები (2012 წლის 23 ივლისი)

²⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი)

²⁶ საქართველოს მთავრობის №4 დადგენილება „სოციალური შეღავათების მონეტოზაციის შესახებ“ (2007 წლის 11 იანვარი)

²⁷ მოცემულ დოკუმენტში ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირში იგულისხმება უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა

მიღებისთვის შესაბამისი პირი მიმართავს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს (სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს, მიუხედავად მამიებლის რეგისტრაციის ადგილისა) და წარუდგენს მისი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ რაიმე ტიპის სოციალური პაკეტის მოთხოვნის შემთხვევაში წარსადგენ დოკუმენტებს შორისაა ცნობა იმის შესახებ, რომ შესაბამისი პირი არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.²⁸

ცალსახაა, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე და ასაკის გამო პენსიას იღებს მეორე ქვეყანაში, საქართველოში ეზღუდება ნებისმიერი სოციალური პაკეტის მიღების შესაძლებლობა. ამ პირებს შორისაა, განმცხადებელიც, რომელსაც არ მიეცა უფლება, რომ მიეღო სოციალური პაკეტი, რადგან იგი ვერ წარადგენდა ცნობას, რომ სხვა ქვეყანაში არ იღებდა ასაკის გამო პენსიას.

შესაბამისად, ორივე შემთხვევის მიხედვით, უფლების შეზღუდვა არის საკანონმდებლო მოცემულობა და არა პრაქტიკიდან მომდინარე შემთხვევა და საქართველოს სახალხო დამცველი მოცემულ გადაწყვეტილებაში მსჯელობს ნორმატიული აქტის, კანონქვემდებარე აქტის თანასწორობის უფლებასთან შესაბამისობაზე. ამგვარად, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესაფასებელი საკითხები შემდეგია:

- ზოგადად, ორი ან მეტი სოციალური გასაცემლის ერთდროულად მიღების შეზღუდვა; კონკრეტულად, ამგვარი შეზღუდვა ხანდაზმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ჭრილში.
- ზოგადად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის საქართველოსგან სოციალური პაკეტის მიღების შეუძლებლობა, თუკი პირი მეორე ქვეყნისგან იღებს პენსიას; კონკრეტულად, ამგვარი შეზღუდვა ომის ვეტერანების უფლებები ჭრილში.

2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალათ განმცხადებლებს

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც პირს ხელი შეეშალა.

N8255/20 საქმეში ხანდაზმულ შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებს ეზღუდებათ სოციალური დაცვის უფლება, რადგან მათ უწევთ არჩევანი გააკეთონ, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე ბენეფიტსა და მეორე მხრივ, ასაკის გამო პენსიას შორის. ამგვარ შეზღუდვას კი ნეგატიური ეფექტი აქვს სხვადასხვა ძირითადი

²⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი)

უფლებების რეალიზებაზე, მათ შორის, სიცოცხლის უფლებაზე, ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე.

N2083/21 საქმეში განმცხადებელს და მის მსგავს პირობებში მყოფ ადამიანს არ ეძლევა საშუალება, რომ მიიღოს ომის ვეტერანობის გამო შესაბამისი ფინანსური სარგებელი. უფრო ზოგადად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, სახელმწიფო პენსიის ან სოციალური პაკეტის დასანიშნად უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.²⁹ შესაბამისად, ამგვარი პირებს ეზღუდება საქართველოსთან სტატუსიდან გამოდინარე სოციალური გასაცემელის მიღების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაშიც ეს შეზღუდვა ჯაჭვურად უკავშირდება ისეთი ძირითადი უფლებებით სარგებლობის ხარისხის შემცირებას, როგორცაა, სიცოცხლის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება. მსჯელობის შემდგომ ეტაპებზე, სახალხო დამცველი განიხილავს შესაძარებელი პირების საკითხს და უფლებაში ჩარევის (შეზღუდვის) პროპორციულობას.

2.4. არსებითად თანასწორ/უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული/თანასწორი მოპყრობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.³⁰ თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.³¹

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი/უთანასწორო სუბიექტები.³² კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.³³

საქართველოს სახალხო დამცველმა N8255/20 საქმეში დადგინა არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობის ფაქტი, ხოლო N2083/21 საქმეში - არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობის ფაქტი.

²⁹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის № 01/4562 წერილი

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

სახალხო დამცველის დეტალური არგუმენტაცია N8255/20 საქმესთან მიმართებით შემდეგია: განსახილველ შემთხვევაში, საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა, რომელთაც განსხვავებულად ეპყრობიან: (1) ხანდაზმულები, რომლებიც არ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეუძლიათ მიიღონ ასაკის გამო პენსია; (2) ხანდაზმულები, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მათ კანონმდებლობა ორი განსხვავებული სცენარით მოქმედების საშუალებას აძლევს: (ა) ბიუჯეტიდან მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური ბენეფიტი, მაგრამ უარი თქვან ასაკის გამო პენსიაზე; (ბ) გახდნენ ასაკობრივი პენსიის მიმღებები, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი ვეღარ იქნებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსიდან გამომდინარე საბიუჯეტო სახსრების ადრესატი. ამ შესაძარებელი ჯგუფების მიმართ სამართლებრივი შედეგები განსხვავებულია. შესაძარებელი პირების იდენტიფიცირების შემდგომ მნიშვნელოვანია დადგინდეს, რამდენად არიან ეს სუბიექტები არსებითად თანასწორნი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. მოცემულ შემთხვევაში ამ ჯგუფებს აქვთ თანაბარი ინტერესი, რომ მათ შეძლონ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით სარგებლობა.

შესაბამისად, აღნიშნულით დასტურდება ხანდაზმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის ფაქტი. ამდენად, დღის წესრიგში დგება შეფასდეს, თუ რამდენად გამართლებულია დიფერენცირება.

სახალხო დამცველის ვრცელი დასაბუთება N2083/21 საქმესთან მიმართებით შემდეგია: განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი და მის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები წარმოადგენენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე ასაკობრივი პენსიის მიმღებ³⁴ ვეტერანებს. ამგვარად, ჯგუფი, რომლის მიმართაც, სავარაუდოდ, დისკრიმინაციული დებულებები მოქმედებს, ატარებს სამ ნიშანს: არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე, აქვს საპენსიო ასაკი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვს ვეტერანის სტატუსი. ეს უკანასკნელი ნიშანი განმცხადებლის მსგავს პირობებში მყოფი პირებისთვის არ ქმნის განსხვავებულ მოცემულობას, თუმცა მოქალაქეობისა და ასაკის ნიშნები დიფერენცირებული მოპყრობას იწვევს მხოლოდ ერთობლიობაში და არა ცალ-ცალკე, შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს არის თუ არა სახეზე ინტერსექციული დისკრიმინაცია.

როგორც აღინიშნა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე ასაკით პენსიის მიმღებ ვეტერანებს არ შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სოციალური პაკეტი, მათ შორის, ომის ვეტერანობიდან გამომდინარე, თუკი ისინი სხვა ქვეყანაში იღებენ პენსიას. ორმაგი მოქალაქეობის მქონე

³⁴ „ასაკობრივი პენსიის მიმღების“ მოცემულ დოკუმენტში პირობითია, რამდენადაც საპენსიო ასაკი შესაძლებელია საქართველოსგან განსხვავებული იყოს უცხო ქვეყანაში

ასაკობრივი პენსიის მიმღებ ვეტერანების ჯგუფთან სამი შესადარებელი ჯგუფი გამოიყოფა, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, რომ ვეტერანის სოციალური პაკეტი მიიღონ:

ა) ასაკით პენსიის მიმღები ვეტერანი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები - ასაკით პენსიონერ საქართველოს მოქალაქე პირებს ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე შეუღლიათ მიიღონ ზოგიერთი სოციალური პაკეტი (კერძოდ, იმ პირებმა, რომლებიც ხსენებული №279 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვე-პუნქტითაა განსაზღვრული) და პენსია³⁵;

ბ) საპენსიო ასაკის არ მქონე ვეტერანი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები - საპენსიო ასაკის არ მქონე ვეტერანი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე მიიღონ შესაბამისი სოციალური პაკეტი;

გ) საპენსიო ასაკის არ მქონე ორმაგი მოქალაქეობის მქონე ვეტერანები - საპენსიო ასაკის არ მქონე ორმაგი მოქალაქეობის მქონე ვეტერანებს ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე შეუძლიათ მიიღონ სოციალური პაკეტი.

შესადარებელი პირების იდენტიფიცირების შემდგომ მნიშვნელოვანია დადგინდეს, რამდენად არიან ეს სუბიექტები არსებითად თანასწორნი. მოცემულ შემთხვევაში ამ ჯგუფებს აქვთ თანაბარი ინტერესი, რომ მათ შეძლონ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით სარგებლობა. კერძოდ, ერთი მხრივ, ზემოთ აღნიშნული სამი ჯგუფი (ა), ბ), გ) კატეგორიები) და მეორე მხრივ, ორმაგი მოქალაქეობის მქონე ასაკობრივი პენსიის მიმღები ვეტერანების ჯგუფი, არსებითად თანასწორნი არიან: ქვეყნის უსაფრთხოებაში თავიანთი წვლილის შეტანისთვის მათ დაიმსახურეს ვეტერანის სტატუსი და აქვთ თანაბარი ინტერესი, რომ ამან სამართლებრივი შედეგები წარმოშვას (მაგალითად, შესაბამისი სოციალური პაკეტის მიღება).

თუმცა სახალხო დამცველისთვის არსებითია ზოგად შეზღუდვაზე აქცენტირება, რაც N2083/21 საქმიდან გამომდინარეობს: ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი (უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა) აკმაყოფილებს სამართლებრივ წინაპირობას, რომ საქართველოსგან მიიღოს შესაბამისი სოციალური პაკეტი, თუმცა იმის გამო, რომ სხვა ქვეყანაში იღებს პენსიას, იგი შესაბამის ბენეფიტს ვერ მიიღებს სახელმწიფოსგან. მსგავსი შესაძლებლობა კი არ არის შეზღუდული სხვა პირებისთვის.

³⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება ორმაგი მოქალაქეობის მქონე სხვა ქვეყანაში ასაკობრივი პენსიის მიმღებ პირთა ჯგუფის მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის ფაქტი. ამდენად, დღის წესრიგში დგება შეფასდეს, თუ რამდენად გამართლებულია დიფერენცირება.

2.5. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება

მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში არ ხდებოდეს დისკრიმინაციული დიფერენციაცია. ხსენებულ საქმეში რამდენად არის ობიექტური გარემოებით განპირობებული განსხვავება, უნდა დადგინდეს უფლების შეზღუდვის თანაზომიერების ანალიზისას.

2.5.1. ლეგიტიმური მიზანი

სამინისტროს მიერ მოწოდებული წერილის მიხედვით, სოციალური პაკეტის პოლიტიკის განსაზღვრისას ლეგიტიმური მიზანია საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვა (მატერიალური რესურსების დაზოგვა). ამ თვალსაზრისით, კი სახელმწიფოს აქვს ფართო მიხედულების ფარგლები.³⁶ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წელს საქართველოს მთავრობის №279 დადგენილების ის ნორმა შეაფასა, რომლის მიხედვითაც, საპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ აქვს უფლება, რომ ერთდროულად ისარგებლოს ასაკობრივი პენსიით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსიდან გამომდინარე სოციალური პაკეტით.³⁷ სამინისტრომ ამ შეზღუდვის შესახებაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო მიხედულების ფარგლები და რამდენიმე საფუძვლით საბიუჯეტო სახსრების გაცემა გამოიწვევს საბიუჯეტო ასიგნებების მნიშვნელოვან ზრდას.³⁸

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი არსებითია და მისი მიღწევისთვის შესაძლებელია გამართლებული იყოს სხვადასხვა შეზღუდვის შემოღება. თუმცა იმავდროულად საქართველოს სახალხო დამცველი ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომ სახელმწიფოს საბიუჯეტო რესურსი ამოწურვადია, აქედან გამომდინარე მისი ადმინისტრირებისას სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია. თუმცა ფართო მიხედულების პირობებში სახელმწიფო უნდა იცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპს, არსებული რესურსები ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურად რეალიზებას უნდა მოხმარდეს.³⁹

³⁶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის № 01/4562 წერილი

³⁷ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს № 01/9181 წერილი (05 აგვისტო, 2020)

³⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს № 01/9181 წერილი (05 აგვისტო, 2020)

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26

ამგვარად, ფინანსების ადმინისტრირებისას ხელისუფლების ფართო მიხედვლების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველი შემდგომ ეტაპებზე შეფასებს რამდენად გამართლებულია შემდეგი ორი საკითხი: (1) ორი ან მეტი სოციალური გასაცემლის ერთდროულად მიღების შეზღუდვა; (2) ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის (უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა) საქართველოსგან სოციალური პაკეტის მიღების შეუძლებლობა, თუკი პირი მეორე ქვეყნისგან იღებს პენსიას.

2.5.2. ობიექტური და გონივრული გამართლება

ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე (საჯარო ფინანსების დაზოგვა), საქართველოს სახალხო დამცველმა უნდა დაადგინოს თუ რამდენად ობიექტური და გამართლებულია:

- ზოგადი შეზღუდვა 1 - აკრძალულია ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება სახელმწიფოსგან (ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება; სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება - ეს წესი არ ვრცელდება, მათ შორის, საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეების მიმართ;⁴⁰ სოციალურ პაკეტთან ერთად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული⁴¹ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღება);
- ზოგადი შეზღუდვა 2 - ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის (უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა) საქართველოსგან სოციალური პაკეტის მიღების შეუძლებლობა, თუკი პირი მეორე ქვეყნისგან იღებს პენსიას.

აღნიშნული შეზღუდვების პროპორციულობის შეფასებისთვის საქართველოს სახალხო დამცველი იყენებს ორ კრიტერიუმს: სოციალური გასაცემლების მიზნის გათვალისწინება; ზოგიერთ შემთხვევაში პირთა საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის აუცილებლობა.

2.5.2.1. სოციალური გასაცემლების მიზნის გათვალისწინება

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სოციალური პაკეტების შესახებ მსჯელობისას, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს პაკეტის მიზანი. არსებითია, რომ კანონმდებელმა მხედველობაში მიიღოს მიმღებ ჯგუფებზე შესაბამისი სოციალური პაკეტის ფსიქოლოგიური/ემოციური, სოციალურ-ეკონომიკური გავლენა. ამის

⁴⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი)

⁴¹ საქართველოს მთავრობის №4 დადგენილება „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ (2007 წლის 11 იანვარი)

გათვალისწინების გარეშე, წარმოუდგენელია, რომ ზოგადად სოციალური პოლიტიკა და მოცემულ შემთხვევაში სოციალური პაკეტების სისტემა, იყოს სამართლიანი.

უნდა აღინიშნოს საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია.⁴² ამ საქმის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, საპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უნდა აერჩია ან ასაკობრივი პენსიის ან მისი სტატუსიდან გამომდინარე სოციალური ბენეფიტის მიღება. რეკომენდაციაში ყურადღება არის გამახვილებული, რომ შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის მიზანი სწორედ გარემოს, საზოგადოების მიერ განსაზღვრულ ბარიერებზე პასუხის გაცემისთვის შესაბამისი ფინანსური თუ არაფინანსური რესურსების მობილიზებაა. მისი ამოცანაა სპეციფიკურად შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე ხარჯების გაწევა. ამ საქმეში დისკრიმინაციის დადგენის საფუძველი გახდა ამ სოციალური გასაცემლების მიზნების არსათანადო გათვალისწინება. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სოციალური პენსია, ერთი მხრივ, და სოციალური პაკეტი, მეორე მხრივ, განსხვავებული საჭიროებებისკენ არის მიმართული, თუმცა, რიგ შემთხვევებში თანაკვეთაც შეიძლება არსებობდეს. აქედან გამომდინარე და შესაბამისი ჯგუფების წინაშე არსებული ზოგადი გამოწვევების მხედველობაში მიღებით, ცხადია, რომ საპენსიო ასაკს მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის უზრუნველყოფილი არ არის წვდომა იმგვარ სოციალურ და ეკონომიკურ რესურსებზე, რაც მათი დამოუკიდებელი და ღირსეული ცხოვრების, ყველა სოციალურ სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის გარანტი იქნებოდა. სახალხო დამცველი რეკომენდაციაში მიუთითებდა, რომ აუცილებელია არსებული სისტემის ცვლილება, საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ასაკის გამო პენსიის მიზანს - პენსია სხვადასხვა ქვეყანაში ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, თუმცა არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს ამ მიზნების მიღწევის მასშტაბი. საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის პენსიას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ასაკობრივი პენსიის მიმღებისთვის შესაბამისი ბენეფიტი გულისხმობს ღირსების უფლების, ჯანმრთელობის უფლების უკეთ რეალიზებას, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას, ან/და მოიცავს საკუთრების უფლებით სარგებლობას.

საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელდა საპენსიო რეფორმა. საკანონმდებლო ცვლილებებამდე ასაკით პენსიონერები იღებდნენ მხოლოდ სოციალურ პენსიას. მიმდინარე პერიოდში მასთან ერთად შესაძლებელია დაგროვებით საპენსიო სისტემით სარგებლობა, თუმცა არა მოქმედი პენსიონერებისთვის. ორივე სქემის მიზანია ხანდაზმულ ასაკში მყოფი პირებისათვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა.

ზოგადი თვალსაზრისით კი მიიჩნევა, რომ სოციალური პენსიის მიზანია პირის სიღარიბისგან დაცვა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის

⁴² საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122312175398885.pdf>

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შემთხვევაში სოციალური პენსიის შედეგად ჩანაცვლების კოეფიციენტი არის 18%, რაც საერთაშორისო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით, დაბალი მონაცემია. ასევე, სოციალური პენსიების შემთხვევებში მოლოდინი, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი იქნება მაღალი, საერთაშორისო გამოცდილებით არ დასტურდება.⁴³

დაგროვებითი საპენსიო სქემა მიმართულია ასაკით პენსიის მიმღების შემოსავლის შენარჩუნებისკენ, ხოლო საქართველოში დღესდღეისობით ასაკით პენსიის მიმღები პირების მიმართ არ მოქმედებს დაგროვებითი პენსიის სქემა. აღნიშნული მიუთითებს, რომ სოციალური დაცვის გარანტია მინიმალურია - მხოლოდ სოციალურ პენსიაზე დამოკიდებული ხანდაზმული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.⁴⁴ სწორედ აღნიშნული გარემოებები აჩენს ეჭვებს, რომ ხელისუფლების მიერ შემუშავებული პენსიის განაწილების პოლიტიკა ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებს არსებითად ვერ პასუხობს. ასევე მსოფლიო ბანკის გამოცდილებით, საპენსიო სისტემა სხვა პრინციპებთან ერთად უნდა ემყარებოდეს სამართლიანობის, გონივრულობის, ეკონომიკური ეფექტურობის პრინციპებს.⁴⁵

საგულისხმოა, რომ საპენსიო ასაკში იზრდება ჯანმრთელობის კუთხით რისკები და პენსიის მიზანი ამ გამოწვევაზე პასუხის გაცემაცაა. საქართველოს ასაკით პენსიის შესახებ სისტემა ეფუძნება იმ დათქმას, რომ ხანდაზმული ადამიანები ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების გამო მეტ სოციალურ გარანტიებს საჭიროებენ.⁴⁶ საქართველოს სახალხო დამცველი ერთ-ერთ საქმეში დაეყრდნო შემდეგ სტატისტიკურ ინფორმაციას: ცალკეულ დაავადებებთან მიმართებით ახალი შემთხვევების რაოდენობა, ასევე, ინციდენტობა ყოველ 100 000 მოსახლეზე 70 წელს ზემოთ პირთა შორის მნიშვნელოვნად აღმატება 70 წლამდე ასაკის პირთა ახალ შემთხვევებს და ინციდენტობას; ასევე, 70 წელს ზემოთ პენსიონერთა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად აღმატება 70 წლამდე პენსიონერთა მაჩვენებელს.⁴⁷

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემუშავებული აქვს მოსახლეობის დაბერების სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია. თავის მხრივ, ეს კონცეფცია პრინციპების დონეზე ეყრდნობა

⁴³ საქართველოს საპენსიო რეფორმა: არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 4 (2016).

⁴⁴ თუმცა არსებობს სხვა მიზნობრივი პროგრამები

⁴⁵ Pensions. <<http://www.worldbank.org/en/topic/pensions>>

⁴⁶ აღსანიშნავია, რომ სოციალურ პენსიასთან მიმართებით საქართველომ დანერგა ინდექსაციის კომპონენტი, თუმცა იგი განსხვავებულად გაავრცელა პირებზე, რომლებიც არიან 70 წლამდე და პირები, რომლებიც არიან 70 წლის და მეტი ასაკის. მათ მიმართ განსხვავებული მიდგომა გამოიხატება 70 წლის და მეტი ასაკის მქონე პირებისთვის პენსიის დანამატის უკეთეს ინდექსაციაში; იხ. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 6728-რს, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი (2/07/2020); იხ. განმარტებითი ბარათი <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/247757?>>

⁴⁷ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი № 01/10192 (25/08/2020)

დაბერების პრობლემების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმასა და მისი განხორციელების რეგიონალურ სტრატეგიას (MIPAA/RIS), რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ვალდებულებას. მოცემული საქმის გარემოებებისთვის არსებითია შემდეგ ვალდებულებებზე ყურადღების გამახვილება: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხანდაზმულთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია და ჩართულობა, სოციალური დაცვის სისტემის მოწესრიგება; ყველა ასაკში ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფის და დამოუკიდებელი ცხოვრების (მათ შორის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის) ხელშეწყობა.⁴⁸

ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებები საქართველოში ხანდაზმული ადამიანების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში მითითებულია, რომ წლების განმავლობაში ნარჩუნდება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა გადასაჭრელად სახელმწიფოს განგრძობადი ძალისხმევის გამოჩენა მართებს.⁴⁹

სოციალური პაკეტის მიმღები ჯგუფები და სოციალური პენსიის მიმღები ხანდაზმული ადამიანები, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების წინაშე დგანან. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ ძალისხმევა გაწიოს სხვადასხვა ჯგუფის ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველყოფისთვის. იმ ადამიანებთან მიმართებით კი, რომლებიც რამდენიმე ჯგუფის ნიშანს აერთიანებს, მათი კომპლექსური საჭიროებების ფონზე ხელისუფლებამ ადეკვატური პოლიტიკა გაატაროს.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე აფასებს: არის თუ არა ობიექტურად და გონივრულად გამართლებულია ორმაგი მოქალაქეობის მქონე (უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა) პირებისთვის, რომლებიც მეორე სახელმწიფოში იღებენ პენსიას, სოციალური პაკეტის საქართველოში მიღების აკრძალვა. სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით, ამგვარი შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველია საჯარო რესურსების დაზოგვა. ორმაგი მოქალაქეობის პირების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს არ უწევს ორმაგი ხარჯის გაწევა (რადგან შესაბამისი პირი სოციალურ პენსიას სხვა სახელმწიფოსგან იღებს), ხოლო პირს აქვს იმგვარი სამართლებრივი სტატუსი, რაც იძლევა მისთვის სოციალური პაკეტის დანიშვნის საფუძველს. ერთი სოციალური სარგებელი, ვერ ჩაანაცვლებს სხვა სოციალური ბენეფიტის მიზანს.

ამგვარად, სოციალური გასაცემლების პოლიტიკის პრინციპი, რომ ორი ტიპის გასაცემელი ერთ პირზე არ გაიცემა, არის ბლანკეტური და არ ითვალისწინებს სოციალური პაკეტის მიზნებს და მისი მიღწევის თეორიულ შესაძლებლობას. ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე

⁴⁸ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, 5146-IIIს (27/05/2016)

⁴⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 370

(უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა) პირებისთვის, რომლებიც მეორე სახელმწიფოში იღებენ პენსიას, სოციალური პაკეტის საქართველოში მიღების აკრძალვა არის ბლანკეტური და არც ამ შემთხვევაშია გათვალისწინებული სოციალური პაკეტის მიზნები. აქედან გამომდინარე, არსებითია ეს პოლიტიკა იმგვარად შეიცვალოს, რომ გაითვალისწინოს სოციალური პაკეტის, სოციალური პენსიის მიზნები, ასევე მათი ოდენობები რამდენად აღწევს თავად ამ გასაცემლის მიზნებს. ცხადია, ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების საკითხი გასათვალისწინებელი, თუმცა იგი გონივრულად, ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვის მიზნით უნდა იყოს გამოყენებული.

2.5.2.2. საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სოციალური გასაცემლების პოლიტიკის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული ჯგუფების განსაკუთრებული საჭიროებები - რასაც შესაძლებელია ვერ ფარავდეს შესაბამის ჯგუფზე მიმართული გასაცემელი.

მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი საქმე, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია დადგინდა.⁵⁰ არათანაბარი მიდგომის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საპენსიო ასაკს მიღწევა ყველა შემთხვევაში არ უნდა გამორიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღების შესაძლებლობას. სოციალური უზრუნველყოფის არსებული წესი იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ სახელმწიფოსგან ამ ორი ფინანსური სარგებლის ერთდროულად მიღების საკითხი, შესაბამისი პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით წყდებოდეს.

მიმდინარე პერიოდისთვის საქართველოს რეალობაში განსხვავებული მიდგომები არის დაწესებული ასაკით პენსიის მიღებებს შორის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუმცა, აღნიშნული ინტეგრირებულია არა საპენსიო სქემაში, არამედ სოციალურ დახმარების ფორმით არსებობს. კერძოდ, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის გათვალისწინებით, ყოველთვიური დანამატის - სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის დანამატს.⁵¹

⁵⁰ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122312175398885.pdf>

⁵¹ საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, 4036-რს, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი (16/07/2015); საქართველოს კანონი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, 5443-ლს (10/12/2019)

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ განსაზღვრული ჯგუფები განსაკუთრებული მოწყვლადობის წინაზე დგანან, მათი საჭიროებები ინდივიდუალურია. შესაბამისად, უნდა გატარდეს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც მათ საჭიროებებს ეფექტურად დაფარავს. სახალხო დამცველი აქვე აღნიშნავს, რომ რაც უფრო ზოგადია წესი, მით მეტი საფრთხე არსებობს, რომ მას არაპროპორციული ეფექტი ექნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე, არსებობს არაპირდაპირი დისკრიმინაციის საფრთხეები. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ზოგადი შეზღუდვა, რომლის მიხედვით, აკრძალულია ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება სახელმწიფოსგან,⁵² დისკრიმინაციულია. ასევე, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის (უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა) საქართველოსგან სოციალური პაკეტის მიღების შეუძლებლობა, თუკი პირი მეორე ქვეყნისგან იღებს ასაკის გამო პენსიას, არის მოქალაქეობის ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია. ამ შემთხვევებში პრობლემაურია, რომ, ბლანკეტური შეზღუდვების პირობებში, არ გაითვალისწინება სოციალური პაკეტის მიზნები და მისი მიღწევის თეორიული შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს სოციალური სისტემის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს, რომ ერთი ტიპის სოციალური სარგებელი უპირობოდ ვერ მიაღწევს სხვა ტიპის სოციალური სარგებლის მიზანს და რომ სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების ინტერესები და საჭიროებები განსხვავებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მოგმართავთ ზოგადი წინადადებით:

- გადაიხედოს წესი, რომლის თანახმად, გამონაკლისების გარდა, საქართველოს მოქალაქეებისთვის აკრძალულია სახელმწიფოსგან ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება;
- გადაიხედოს წესი, რომლის თანახმად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე საქართველოს მოქალაქისთვის საქართველოსგან სოციალური პაკეტის მიღება შეუძლებელია, თუკი პენსიას მეორე სახელმწიფოსგან იღებს.

⁵² ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება; სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება - ეს წესი არ ვრცელდება, მათ შორის, საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეების მიმართ; სოციალურ პაკეტთან ერთად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღება

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,